

საქართველო

განათლების და მეცნიერების
სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სსიპ - თესაუ თელავი,
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1
2200
☎ +995 (350) 27-24-01, ფაქსი: +995 350 273264
E-mail: rector@tesau.edu.ge



GEORGIA

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF
GEORGIA
Legal Entity of Public Law
Iakob Gogebashvili Telavi State University
(LEPL – TESAU)
N1, Kartuli Universiteti Str.
2200 Telavi, Georgia
☎ +995 (350) 27-24-01, fax: +995 273264
E-mail: rector@tesau.edu.ge



MES 5 22 0000919052



18/08/2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/5 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 აგვისტოს № 18 სხდომის ოქმის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2022 წლის 03 ოქტომბერს და დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს:

სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა. I სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 03 ოქტომბერს და დასრულდეს 2023 წლის 17 თებერვალს;

- ბ. II სემესტრი დაიწყო 2023 წლის 27 თებერვალს და დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს;
- გ. პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყო 2022 წლის 05 სექტემბრიდან და დასრულდეს 2022 წლის 23 სექტემბერს. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;
- დ. სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყო 2022 წლის 19 სექტემბერს და დასრულდეს 2022 წლის 30 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე.

სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

- ა) ზამთრის სესიები დაიწყო 2023 წლის 16 იანვარს და დასრულდეს 2023 წლის 28 იანვარს.
- ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 26 იანვრიდან 2023 წლის 8 თებერვლის ჩათვლით;
- ბ) ზაფხულის სესიები დაიწყო 2023 წლის 12 ივნისიდან და დასრულდეს 2023 წლის 24 ივნისს;
- ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისიდან 2023 წლის 5 ივლისის ჩათვლით;

არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

- ა) ზამთრის არდადეგები დაიწყო 2023 წლის 18 თებერვლიდან და დასრულდეს 2023 წლის 27 თებერვალს;
2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
 3. სწავლა დაიწყო 10:00 საათზე;
 4. 2022-2023 სასწავლო წელი დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს;
 5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
 6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბუჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
 7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილი);
 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორის მოადგილე გელდიაშვილი ნუნუ

